

28.11.2024 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით (N7675 განცხადება) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში შპს „ნოვა ფიქსი“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიში, რასთან დაკავშირებითაც სააგენტოს 2024 წლის 21 ოქტომბერის N 21/10848 წერილის შესაბამისად გარკვეული საკითხების დაზუსტებამდე დროებით (2 თვის ვადით) შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება.

გაცნობებთ, რომ შპს „ნოვა ფიქსი“ უზრუნველყო სააგენტოს მიერ განსაზღვრული შენიშვნების დაზუსტება და მოთხოვნილ საკითხებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ დამატებით - განახლებულ დოკუმენტაციას.

დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გთხოვთ განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოების მსვლელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გვაცნობოთ თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ:

1. ტექნიკური მახასიათებლების დაზუსტება
2. ატმოსფერული ჰაერის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;
3. ხმაურის განახლებული გაანგარიშება;
4. განახლებული ზდგ-ის ნორმების პროექტი
5. უსაფრთხოების პასპორტები;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი.

ამასთან წარმოგიდგენთ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომენტარებზე რეაგირების ცხრილს, შესაბამისი დაზუსტებებით/განმარტებებით.

პატივისცემით,

შპს „ნოვა ფიქსი“-ს დირექტორი:



ზაქარია ხიზანიშვილი

